

ხელშეკრულება N 82/22

მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი

1 იანვარი 2023 წელი

ერთი მხრივ, შპს „ვიონი საქართველო“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, ს/კ 204450584 (შემდგომში „ვიონი“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ლაშა ტაბიძის სახით, და

მეორე მხრივ, შპს “_____” საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი ს/კ _____ (შემდგომში “_____”), წარმოდგენილი დირექტორის _____ სახით, ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, (შემდგომში - მხარეები/ავტორიზებული პირები) ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მხარეთა განცხადებები და ზოგადი გარანტიები

- 1.1. მხარეები იძლევიან გარანტიას და აცხადებენ, რომ:
 - 1.1.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აქვთ სრული უფლებამოსილება გააფორმონ წინამდებარე ხელშეკრულება, ამავე ხელშეკრულებაში მოცემული პირობების გათვალისწინებით;
 - 1.1.2. არ არსებობს კანონიერი ან სხვა დაბრკოლებები წინამდებარე ხელშეკრულების გასაფორმებლად;
 - 1.1.3. ხელშეკრულების გაფორმების/ხელმოწერის დროისათვის არიან/იქნებიან ქმედუნარიანი (მათ შორის, შექმნილი კანონმდებლობით დადგენილი წესით);
 - 1.1.4. ხელშეკრულება ფორმდება მათ მიერ ნებაყოფლობით, ერთმანეთის ან სხვა მესამე პირ(ებ)ის მხრიდან მათ მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;
 - 1.1.5. ხელშეკრულების გაფორმება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), საკანონმდებლო ან/და სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც მხარეები არიან პასუხისმგებელი;
 - 1.1.6. ხელშეკრულების გაფორმების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის ისინი იცავენ და დაიცავენ ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
 - 1.1.7. მათთვის ცნობილია, რომ ყალბი/არასწორი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას, და შესაძლოა გამოიწვიოს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა და შესაბამისი პასუხისმგებლობა.
 - 1.1.8. დაიცვან ერთმანეთი ყოველგვარი დანაკარგისგან, სარჩელისაგან, სანქციისაგან, მოთხოვნისაგან, ვალდებულებისაგან, ზიანისაგან და ხარჯებისაგან, რომლებიც დაკავშირებული იქნება მხარის მიერ გაცემული გარანტიების დარღვევასთან ან/და მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან ან/და მათ არაჯეროვან შესრულებასთან.
- 1.2. მხარეთა აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.
- 1.3. მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებენ ერთმანეთს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მათ აღნიშნულ განცხადებებთან და გარანტიებთან ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას.
- 1.4. მხარეები აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ ისინი მხოლოდ ზემოაღნიშნული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებენ/დადებენ და შეასრულებენ ხელშეკრულებას.

2. ტერმინთა განმარტება

- 2.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
- 2.1.1. A2P SMS - მარკეტინგული, კომერციული, სარეკლამო, ინფორმაციული ან სხვა დანიშნულების მოკლე ტექსტური შეტყობინებ(ებ)ა(ი), რომელიც ეგზავნება აბონენტ(ებ)ს პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით A ნომრით ან მის გარეშე;
- 2.1.2. Bulk SMS - დიდი (მასობრივი) რაოდენობით გაგზავნილი A2P SMS;
- 2.1.3. არასტანდარტული სახის SMS მომსახურება - A2P SMS და Bulk SMS მომსახურება ერთად ან ცალ-ცალკე;
- 2.1.4. აბონენტი - ბოლო მომხმარებელი, რომელსაც ავტორიზებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიეწოდება საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება;
- 2.1.5. ფროდი - ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან მათი გამოყენების გარეშე, ისეთი ქმედებების განხორციელება, რაც იძლევა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის და/ან სხვა სახის მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის გადახდისაგან თავის არიდების შესაძლებლობას ან მსგავსი მიზნით სხვა არამათლოზომიერი ქმედება.
- 2.1.6. ლოკალური არასტანდარტული სახის SMS მომსახურება - არასტანდარტული სახის SMS მომსახურება, რომელიც წამოწყებულია საქართველოში;
- 2.1.7. საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურება საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურება (A2P SMS შეტყობინებები)- საერთაშორისო არასტანდარტული A2P SMS შეტყობინებებად ჩაითვლება:
- ა) A2P SMS, რომელიც ეგზავნება ვიონი საქართველოს ქსელს, მოიცავს ინფორმაციას / სარეკლამო განცხადებას საერთაშორისო კომპანიის* და/ან მისი მომსახურებების / პროდუქტების / მონაცემების და/ან ტრანზაქციების / მომსახურებების / წვდომის / შეტყობინებების შესახებ, რომლებიც შესრულებულია / წარმოდგენილია საერთაშორისო კომპანიის მიერ* (მათ შორის საერთაშორისო კომპანიის* მიერ დანიშნული მესამე მხარეების გამოყენებით) აბონენტებისთვის.
- ბ) A2P SMS, რომელიც ეგზავნება ვიონი საქართველოს ქსელს, მოიცავს მითითებას / ბმულს დომენური ზონის web რესურსზე, რომელიც არ ეკუთვნის ოპერატორის ქვეყანას.
- გ) A2P SMS ანბანურ-ციფრული სახელის საფუძველზე, შეუძლებელია A2P SMS თავდაპირველი გამგზავნის / ინიციატორის და/ან მომსახურების / პროდუქტის / მიზნის / მომსახურების / პროდუქტის / ობიექტის წარმომობის ქვეყნის განსაზღვრა, რომელთან დაკავშირებით A2P SMS იგზავნება.
- დ) შეტყობინებები, რომლებიც უკავშირდება საერთაშორისო ელექტრონულ გადახდის სისტემას (მაგ. Visa, MasterCard, AmExpress და სხვა), საერთაშორისო ელექტრონულ საფულეებს და/ან საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემებს (მაგ. WebMoney, Qiwi Wallet და სხვა.), ელექტრონული გადახდის დამუშავების საერთაშორისო პლატფორმებს (მაგ. PayPal და სხვა.), საერთაშორისო სოციალურ ქსელებს (მაგ. facebook, vkontakte, Google+, odnoklassniki, twitter, instagram, fotostrana და სხვა), საერთაშორისო OTT აპლიკაციებს (მაგ. Skype, Viber, WhatsApp და სხვა), საერთაშორისო ონლაინ თამაშებს (მაგ. World of Tanks, Gameserver, mobitva.com და სხვა), ელექტრონული ფოსტის საერთაშორისო მომსახურებები და/ან ფაილის გაცვლის მომსახურებები და/ან საძიებო სისტემები (მაგ. Mail.Ru, Yahoo, Rumbler.ru, Google, dropmefiles, ifolder.su, exfile.ru, და სხვა) და/ან საერთაშორისო ტაქსის სერვისი (მაგ. Uber) და/ან საერთაშორისო ონლაინ მაღაზიები და/ან საერთაშორისო ონლაინ საცალო პლატფორმა (მაგ. Amazon, Ebay);
- ე) შეტყობინებები, რომლებიც დაკავშირებულია ონლაინ დაჯავშნის საერთაშორისო მომსახურებებთან (მაგ. Booking, AirBnB და სხვა), საერთაშორისო ბანკებთან (მაგ., Arab Bank) (ფინანსური დაწესებულებების გარდა, რომლებიც მოქმედებენ ოპერატორის ქვეყნის ტერიტორიაზე ოპერატორის ქვეყნის ავტორიზებული სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიის შესაბამისად) და საერთაშორისო ავიაკომპანიებთან (მაგ. AirBaltic და სხვა);
- ვ) შეტყობინებები, რომლებიც იგზავნება (წარმოიქმნება) საერთაშორისო კომპანიების (მათ შორის ასეთი კომპანიის წარმომადგენლობის / აფილირებული კომპანიის, კომპანიის, რომელიც ახორციელებს საქმიანობებს კომპანიასთან იმავე ბრენდით / სასაქონლო ნიშნით, კომპანიას, რომელიც თანამშრომლობს კომპანიასთან ფრანშიზის პირობებით) მიერ, მოკლევადიანი (Starbucks, Burger King, Nescafe, L'Oréal, და სხვა) და გრძელვადიანი (Audi, Samsung, Bosch, IKEA, და სხვა) გამოყენების საქონლის გაყიდვასთან, ასევე მომსახურებების (DHL, Netflix, და სხვა) გაწევასთან დაკავშირებით.
- ზ) შეტყობინებები, რომლებიც იგზავნება SMS gateway (მაგ. SMS-fly, TurboSMS, LetsAds, ePochta SMS და სხვა) მეშვეობით.
- თ) შეტყობინებები, რომლებიც მოიცავს მობილური ქსელის ოპერატორების სახელებს, საქართველოში რეგისტრირებული ავტორიზებული პირების გარდა.

ი) ანბანურ-ციფრული სახელ(ებ)ი, რომლებშიც გამოიყენება საერთო სახელები / ტერმინები / დეფინიციები, რომლებიც არ იძლევა გამგზავნის (საბოლოო მომხმარებლის) ზუსტი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, მაგ. "SMS", "Info", "Verify", "NXSMS" და სხვა;

*საერთაშორისო კომპანია ნიშნავს კომპანიას (მათ შორის ასეთი კომპანიის წარმომადგენლობას / შვილობილ / აფილირებულ კომპანიას, კომპანიას, რომელიც ახორციელებს საქმიანობებს იმავე ბრენდით / სასაქონლო ნიშნით, კომპანიას, რომელიც თანამშრომლობს კომპანიასთან ფრანშიზის პირობებით), რომელიც:

- რეგისტრირებულია ნებისმიერ ქვეყანაში, ოპერატორის ქვეყნის გარდა; და/ან
- ახორციელებს საქმიანობებს (ასევე წარმომადგენლობის / აფილირებული კომპანიების მეშვეობით) მსოფლიოს ორ ან მეტ ქვეყანაში; და/ან
- რომლის სათაო ოფისი / ცენტრალური ოფისები რეგისტრირებულია ნებისმიერ ქვეყანაში ოპერატორის ქვეყნის გარდა; და/ან
- რომლის მომსახურებები / პროდუქტები, რომელთან დაკავშირებით იგზავნება A2P SMS, წარმოდგენილია მსოფლიოს ორ ან მეტ ქვეყანაში (ასევე წარმომადგენლობის / აფილირებული კომპანიების და/ან კომპანიების მეშვეობით, რომლებიც თანამშრომლობენ ფრანშიზის პირობების საფუძველზე ან იყენებენ იმავე ბრენდს / სასაქონლო ნიშანს).

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების, ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) და ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS დასრულების მომსახურება.

4. მხარეთა უფლებები-მოვალეობები

4.1. მხარეები ვალდებული არიან:

4.1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიღების/გაწევის მიზნით ურთიერთჩართვის წერტილში ერთმანეთთან იქონიონ :

ა. სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულებისათვის: SIP პროტოკოლი

ბ. ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS დასრულების მომსახურებისთვის SMPP ტიპის შეერთებები;

4.1.2. უზრუნველყონ საკუთარი ტექნიკური საშუალებების გამართული ფუნქციონირება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიღების/გაწევის მიზნით;

4.1.3. მოახდინონ ერთმანეთთან ანგარიშსწორება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

4.1.4. უზრუნველყონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულება.

4.2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისთვის მხარეები უზრუნველყოფენ ერთმანეთისთვის ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის გადახდას.

4.3. მხარეები უფლებამოსილი არიან:

4.3.1. მოსთხოვონ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულება;

5. მომსახურების ტარიფები

5.1. ვიონის ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის ტარიფები მობილურ და ფიქსირებულ ქსელში შეადგენს:

5.1.1. ლოკალური ზარის დასრულება - 0.75 თეთრს გადასახადების გარეშე;

5.1.2. ლოკალური ზარის წამოწყება - 1.44 თეთრს გადასახადების გარეშე;

5.1.3. ტრანზიტული გატარების ტარიფი საქართველოს ტერიტორიაზე – 1 თეთრი/წთ, დღგ-ს ჩათვლით.

5.1.4. ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულების) ტარიფი - 4 თეთრი, დღგ-ს ჩათვლით.

5.1.5. „ვიონი საქართველოს“ ქსელში ლოკალური არასტანდარტული სახის 1 (ერთი) ცალი მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS-ის) დასრულების ტარიფი შეადგენს 0.0015 ლარს, დღგ-ს ჩათვლით. ამასთან „ვიონი საქართველო“ უზრუნველყოფს ლოკალური არასტანდარტული სახის 1 (ერთი) ცალი მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS-ის) დასრულებისათვის დადგენილ ტარიფსა და „ვიონი საქართველოს“ მიერ საცალო ბაზარზე ლოკალური არასტანდარტული სახის 1 (ერთი) ცალი SMS-ის გაგზავნაზე დაწესებულ მინიმალურ ფასს შორის 25%-იანი სხვაობას.

- 5.1.6. „ვიონი საქართველოს“ ქსელში საერთაშორისო არასტანდარტული სახის 1 (ერთი) ცალი მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS-ის) დასრულების ტარიფი შეადგენს 0.08 აშშ დოლარს (ექვივალენტით ლარში გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით) დღგ-ს გარეშე. ამასთან „ვიონი საქართველო“ უზრუნველყოფს საერთაშორისო არასტანდარტული სახის 1 (ერთი) ცალი მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS-ის) დასრულებისათვის საქართველოში ავტორიზებული პირებისათვის დადგენილ ტარიფსა და „ვიონი საქართველოს“ მიერ საცალო ბაზარზე საერთაშორისო არასტანდარტული სახის 1 (ერთი) ცალი SMS-ის გაგზავნაზე დაწესებულ მინიმალურ ფასს შორის 25%-იანი სხვაობას;
- 5.1.7. ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის 1 (ერთი) ცალი SMS-ის გატარების ტარიფი საქართველოს ტერიტორიაზე ავტორიზებული პირის მიმართულებით შეადგენს, მიმღები ავტორიზებული პირის მიერ დადგენილი ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS დასრულების ტარიფს დამატებული 0.0005 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
- 5.1.8. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებულ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს (მათ შორის, ტრანზიტის შემთხვევაში) ანგარიშსწორების მიზნებისათვის აღრიცხავენ შემდეგი პრინციპის დაცვით: SMPP ტიპის შეერთების მეშვეობით განხორციელებული მოკლე ტექსტური შეტყობინება ანგარიშსწორებას ექვემდებარება, თუ მას ექნება სტატუსი გაგზავნილია (sent).
- 5.1.9. მხარის ინიციატივით ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის 1 ცალი SMS დასრულების მომსახურების ტარიფის ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს ცალმხრივად მეორე მხარისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ცვლილების განხორციელების ვადამდე 60 (სამოცი) დღით ადრე. ამასთან ტარიფის ცვლილებისას დაცულ უნდა იქნას 1 ცალი ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული SMS დასრულების ტარიფისა და ვიონი საქართველოს“ მიერ საცალო ბაზარზე ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის 1 (ერთი) ცალი SMS-ის გაგზავნაზე დაწესებულ მინიმალურ ფასს შორის 25%-იანი სხვაობა. ამასთან, ტარიფის ნებისმიერი სახით ცვლილების შემთხვევაში, ძალაში დარჩება წინამდებარე ხელშეკრულების 7.7. პუნქტით განსაზღვრული გარანტიები.
- 5.2. „-----“ - ის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის ტარიფები შეადგენს:
- 5.2.1. ლოკალური ზარის დასრულება (მობილური) - ___ თეთრს გადასახადების ჩათვლით;
- 5.2.2. ლოკალური ზარის წამოწყება - ___ თეთრს გადასახადების ჩათვლით;
- 5.2.3. ტრანზიტული გატარების ტარიფი საქართველოს ტერიტორიაზე – ___ თეთრი/წთ, დღგ-ს ჩათვლით.
- 5.2.4. ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის (ლოკალური ზარის წამოწყება/დასრულების) ტარიფი - ___ თეთრი, დღგ-ს ჩათვლით.
- 5.2.5. ლოკალური არასტანდარტული სახის 1 (ერთი) ცალი SMS-ის დასრულების ტარიფი - ___ ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
- 5.2.6. საერთაშორისო არასტანდარტული სახის 1 (ერთი) ცალი SMS-ის დასრულების ტარიფი შეადგენს ___ აშშ დოლარს (ექვივალენტით ლარში გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით) დღგ-ს გარეშე.
- 5.2.7. ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის 1 (ერთი) ცალი SMS-ის გატარების ტარიფი საქართველოს ტერიტორიაზე ავტორიზებული პირის მიმართულებით შეადგენს, მიმღები ავტორიზებული პირის მიერ დადგენილი ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS დასრულების ტარიფს დამატებული 0.0005 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
- 5.2.8. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებულ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს ანგარიშსწორების მიზნებისათვის აღრიცხავენ შემდეგი პრინციპის დაცვით: SS7 და SMPP ტიპის შეერთების მეშვეობით განხორციელებული მოკლე ტექსტური შეტყობინება ანგარიშსწორებას ექვემდებარება, თუ მას ექნება სტატუსი გაგზავნილია (sent).
- 5.2.9. მხარის ინიციატივით ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის 1 ცალი SMS დასრულების მომსახურების ტარიფის ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს ცალმხრივად მეორე მხარისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ცვლილების განხორციელების ვადამდე 60 (სამოცი) დღით ადრე.
- 6. ანგარიშსწორების პირობები**
- 6.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორების წესები განსაზღვრულია ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად, კერძოდ:

- 6.1.1. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება გაწეული მომსახურებების შესახებ შედარების აქტის საფუძველზე, სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვისა.
- 6.1.2. შედარების აქტში აღნიშნული უნდა იყოს მომსახურების სახეები, ინფორმაცია ტრაფიკის შესახებ წამობრივი დამრგვალებით, ლოკალური არასტანდარტული სახის SMS-ის და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS რაოდენობის შესახებ, მხარეთა კუთვნილი თანხები და საბოლოოდ გადასახდელი თანხა. მხარეები ერთმანეთს ელექტრონული ფოსტის გამოყენებით უგზავნიან ინფორმაციას მათ მიერ გაწეული მომსახურების შესახებ (გაწეული მომსახურების სახის, მისი ოდენობისა და საფასურის მითითებით) არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა („-----“ მონაცემების მიწოდება ხდება ელექტრონული ფოსტის მისამართზე _____ ხოლო “ვიონი საქართველოსთვის” - invoices@beeline.ge და billing@beeline.ge). მეორე მხარის მიერ საპასუხო მონაცემების დროულად არ წარმოდგენის შემთხვევაში გაწეული მომსახურებების შესახებ შედარების აქტის შედგენა ხდება “ვიონი საქართველოს” მონაცემების საფუძველზე. “ვიონი საქართველო” გაწეული მომსახურებების შესახებ შედარების აქტს მეორე მხარეს უგზავნის არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა (მათ შორის, შესაძლებელია შედარების აქტის ელექტრონული სახითაც გაგზავნა), ხოლო მეორე მხარე თავისი მხრიდან ხელმოწერილ ამავე შედარების აქტის ერთ ეგზემპლარს “ვიონი საქართველოს” უბრუნებს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა.
- 6.1.3. შედარების აქტის გაფორმებისას მხარეთა შორის შესაძლებელია წარმოიშვას წინააღმდეგობა მათ მიერ გაწეული მომსახურებების ოდენობებზე. ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მხარე წერილობითი ფორმით და წინამდებარე პუნქტის მიხედვით დადგენილი პირობების დაცვით მეორე მხარეს წარუდგენს გადაანგარიშების მოთხოვნას შედარების აქტის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. მხარის მიერ გადაანგარიშების მოთხოვნაში დაფიქსირებული უნდა იყოს დარიცხული თანხის რა ნაწილის ეთანხმება იგი და რას არა, რა საფუძველით ხდის სადაოდ დარიცხულ თანხას. ასევე, გადაანგარიშების მოთხოვნას თან უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი, თუ სხვა სახის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მხარის მოთხოვნის საფუძველიანობას.
- 6.1.4. 6.2.3. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ არსებობს წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, ანგარიშსწორება იწარმოებს ორმხრივად შეთანხმებულ ანუ არასადაო ნაწილზე, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. მხარე, რომელიც არ ეთანხმება მეორე მხარის მიერ წარდგენილ მონაცემებს, აწვდის სადაო თვის სასადაგურო ჩანაწერებს და სხვა საჭირო მონაცემებს. გადაანგარიშების მოთხოვნის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში შეუთანხმებელ ნაწილზე მხარეები ქმნიან ერთობლივ კომისიას, რომელიც 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში სწავლობს მხარეთა მიერ წარმოდგენილ შესაბამის დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს შეუთანხმებელი ნაწილის შეთანხმებას. ანგარიშსწორება განხორციელდება შეთანხმების ოქმის საფუძველზე ოქმის შედგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას თითოეული უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე უმიზეზოდ უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე ან/და შეგნებულად ხელს უშლის ერთობლივი კომისიის მუშაობას, მეორე მხარე უფლებამოსილია ურთიერთჩართვის მომსახურების საფასურის სრული ოდენობით მისაღებად შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს მომსახურების გაწევა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანხმობის საფუძველზე.
- 6.1.5. ყველა სხვა შემთხვევაში (მათ შორის, როდესაც ერთ-ერთი მხარე არ აწერს ხელს შედარების აქტს), ანგარიშსწორება იწარმოებს მეორე მხარის მიერ წარდგენილი გაწეული მომსახურებების შესახებ შედარების აქტში დაფიქსირებული თანხების სრული ოდენობით წინამდებარე ოფერტითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.
- 6.2.. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას მათ მიერ გაწეულ მომსახურებაზე მოახდინონ მეორე მხარისათვის დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის.

7. პასუხისმგებლობა და გარანტიები

- 7.1. ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS დასრულების მომსახურების ფარგლებში მხარე, რომელიც საკუთარი კომერციული, მარკეტინგული, სარეკლამო და/ან ინფორმაციული მიზნებისათვის ახორციელებს მეორე მხარის აბონენტების მიმართულებით ლოკალური არასტანდარტული სახის SMS მომსახურების სახით მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნას სრულად არის პასუხისმგებელი მის მიერ მეორე მხარის აბონენტების პერსონალური მონაცემების, მათ შორის,

სატელეფონო ნომრების სისწორესა და პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის დამუშავებაზე, ისევე როგორც მის შინაარსზე. იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნი მხარის მიერ აბონენტისთვის გაგზავნილი SMS შეტყობინება გამოიწვევს აბონენტის ან ნებისმიერი მესამე პირის კანონიერი უფლების შელახვას ან/და აღნიშნული პირები გამოთქვამენ რაიმე სახის პრეტენზიას SMS შეტყობინების გაგზავნასთან/შინაარსთან/პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, ნებისმიერ ასეთ განცხადებაზე/საჩივარზე/სარჩელზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის მხარეს, საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით.

- 7.2. მხარეები იძლევიან გარანტიას და იღებენ ვალდებულებას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება არ იქნება გამოყენებული სპამის, დაუშვებელი პროდუქციის, თაღლითური ქმედების (ფროდი), საზიანო პროგრამული უზრუნველყოფის გავრცელებისათვის/განხორციელებისთვის.
- 7.3. მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ დაიცვენ საკუთარი ქსელის ინტეგრაციას და უსაფრთხოებას, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით დანერგავენ მექანიზმებს, რომელიც უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში თაღლითური ქმედების (“ფროდი”) ეფექტურ აღმოჩენას და დროულად რეაგირებას. ამავე დროს, მხარეები თანხმდებიან, რომ მჭიდროდ ითანამშრომლებენ ამ პუნქტით გათვალისწინებული ორმხრივი ვალდებულებების შესასრულებლად.
- 7.4. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად და ოპერატიული რეაგირების მიზნით, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც მხარეს გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი, რომ მიწოდებული მომსახურება გამოყენებულია ფროდის მიზნით ან დაკავშირებულია ფროდთან, მხარე იტოვებს უფლებას შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, რის შესახებაც ოპერატიულად აცნობებს მეორე მხარეს.
- 7.5. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია მეორე მხარეს დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.05%-ის ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.
- 7.6. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო(ები)ს დაკისრება წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხარის მიერ მეორე მხარისთვის წერილობითი მოთხოვნის წარდგენის დღიდან, ამასთან პირგასამტეხლოს ოდენობის დარიცხვა განხორციელდება ანგარიშსწორების ვადის გადაცილების დღიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის წარდგენის თარიღისა.
- 7.7. იმ შემთხვევაში, თუ დაირღვევა წინამდებარე ხელშეკრულების 5.1.5. და 5.1.6. პუნქტებით განსაზღვრული ურთიერთჩართვის ფასის გამოთვლის პრინციპი და რომელიმე მომხმარებლისთვის შეთავაზებული ან/და ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მინიმალური საცალო ფასი იქნება ურთიერთჩართვის ტარიფის 30%-იანი ფასნამატის ტოლი ან ნაკლები ოდენობის, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დებულებები, რომელიც განსაზღვრავს ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული SMS-ების დასრულების (მათ შორის, ტარიფიკაციის და ანგარიშსწორების) პირობებს, ჩათვლება ძალადაკარგულად და დარღვევის დღის პერიოდიდან (ასეთი ფაქტის დადასტურების შემთხვევაში) ურთიერთჩართვის ამ ნაწილში მხარეთა თანამშრომლობა გაგრძელდება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული მდგომარეობით, ხოლო ამ პერიოდიდან გაწეული მომსახურებისთვის უკვე გადახდილი თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაექვემდებარება უკან დაბრუნებას უახლოესი ანგარიშსწორების ფარგლებში, ან მეორე მხარის თანხმობის შემთხვევაში, ამ თანხების ჩათვლა მოხდება სხვა ნებისმიერი მომსახურების ფარგლებში წარმოშობილი ვალდებულებების დასაფარად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის საფუძველზე და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრამდე
- 8.2. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს:
 - 8.2.1. მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით;
 - 8.2.2. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას ან/და არაჯეროვანი შესრულებისას ცალმხრივად, საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიიდან შესაბამისი თანხმობის მიღების შემდეგ.
- 8.3. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე არ გამოხატავს სურვილს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე, ხელშეკრულება გაგრძელდება იგივე ვადითა და

პირობებით. ხელშეკრულების ავტომატური გაგრძელების პირობა მოქმედებს ყოველი მომდევნო ერთი წლის გასვლის შემდეგ.

8.4 ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ამ ხელშეკრულებით/დანართით ნაკისრი და წარმომოხილი ვალდებულების სრული შესრულებისგან.

9. ექსტრაორდინალურ და ფორს-მაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები

9.1. მხარეებმა 10 სამუშაო დღით ადრე უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის სარემონტო ან სხვაგვარი სამუშაოების ჩატარების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთჩართვის ტრაფიკის გატარების შეფერხება.

9.2. მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის ყველა იმ დაზიანების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებაზე და შესთავაზოს ალტერნატიული გზები ტრაფიკის გასატარებლად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

9.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

9.4. “დაუძლეველი ძალის” ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

9.5. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, დიდთოვლობა და სხვა), აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიის აქტები), საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), ხელისუფლების ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვა.

9.6. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება. მხარემ, რომლისთვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი კალენდარული დღისა) ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით.

10. უფლებების გადაცემა

10.1. მხარეებისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები და მოვალეობები არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მხარის უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა კანონმდებლობით ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით.

12. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებისა და დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის პროცედურები და პირობები

12.1. დამატებითი რესურსებისა და სიმძლავრეების გამოყოფა მოხდება მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე (არსებული ან/და სამომავლო/პროგნოზირებადი ტრაფიკის გათვალისწინებით).

13. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებისა და დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის ვადა

13.1. დამატებითი სიმძლავრეებისა და რესურსების გამოყოფის ვადაა მოთხოვნიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღე, თუ მისი უზრუნველყოფა არ მოითხოვს არსებულ ქსელში ტექნიკური საშუალებების დამატებას ან არაუმეტეს 30 კალენდარული დღე, თუ დამატებითი სიმძლავრეებისა და რესურსების უზრუნველყოფა მოითხოვს არსებულ ქსელში ტექნიკური საშუალებების დამატებას.

14. თანალოკაციის ფართით სარგებლობის პირობები.

- 14.1. თანალოკაციის ფართით სარგებლობის შესახებ, "ვიონი საქართველოს" და მსურველ ავტორიზებულ პირს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. ავტორიზებული პირისათვის თანალოკაციის ფართის გამოყოფის საფუძველია მხარეებს შორის მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულება და ტერმინალის განთავსების ორმხრივად შეთანხმებული სქემა. აპარატურის განთავსების, აგრეთვე აპარატურის მოხსნის შემთხვევაში მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
- 14.2. თანალოკაციის ფართზე ურთიერთჩართვის აპარატურის განთავსების პირობებია:
 - ა) ურთიერთჩართვისათვის გამოყენებული ტერმინალი (შიდა ბლოკი). უნდა თავსდებოდეს სტანდარტულ 19 დიუმიან დგარზე, ხოლო მისი სიმაღლე და სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 40სმ-ს;
 - ბ) მოხმარებული ელექტროენერჯის სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 150 ვტ-ს;
 - გ) "ვიონი საქართველო" უზრუნველყოფს მუდმივი დენის გარანტირებულ ელექტრო კვებას -48 ვოლტი ძაბვით, აგრეთვე თანალოკაციის ფართის სათანადო კონდიციონერებს.
- 14.3. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთჩართვის განხორციელებისთვის თანალოკაციის ფართის მსურველ ავტორიზებულ პირს ესაჭიროება რადიოსარელეო კავშირის ორგანიზება, მას "ვიონი საქართველოს" ანმაზე თბილსსა და ბათუმში გამოეყოფა ფართი ანტენის დამონტაჟებისათვის, კერძოდ: თანალოკაციის ფართის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ანმაზე არაუმეტეს 0,6მ დიამეტრის პარაბოლური ანტენის განთავსებისთვის.
- 14.4. თანალოკაციის ფართზე დაშვების პირობები:
 - ა) თანალოკაციის ფართზე ავტორიზებული პირის წარმომადგენელი დაიშვება მხოლოდ "ვიონი საქართველოსთან" შეთანხმებით და "ვიონი საქართველოს" ან "ვიონი საქართველოს" შესაბამის კონტრაქტორის წარმომადგენლის თანდასწრებით;
 - ბ) ინფორმაცია დაშვების ყოველი შემთხვევის შესახებ აღირიცხება სპეცილურ ჟურნალში, რომელშიც მიეთითება ავტორიზებული პირის წარმომადგენლის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, ნომერი და თარიღი, დაშვების მიზანი, შესრულებული სამუშაო. ჩანაწერი დასტურდება "ვიონი საქართველოს" წარმომადგენლისა და თანალოკაციის ფართზე დაშვებული პირის ხელმოწერით.
- 14.5. თანალოკაციის ფართით სარგებლობის, ელექტროენერჯით უზრუნველყოფის, კონდიციონერების და ანტენის განთავსების საფასური შეადგენს თვეში 150 (ასორმოცდაათი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

15. დასკვნითი დებულებები

- 15.1 მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან;
- 15.2 ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება მხარეს მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას;
- 15.3 ერთ-ერთი მხარის მხრიდან ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე;
- 15.4 ხელშეკრულების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით (მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი;
- 15.5 ხელშეკრულების მუხლები, პუნქტები ან/და ქვეპუნქტები დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება;
- 15.6 ხელშეკრულების დანართებზე სრულად ვრცელდება ხელშეკრულების მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება. ამასთან, ხელშეკრულების და მისი დანართების პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, ამგვარი დანართების პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადც დადებულია ამგვარი დანართი;
- 15.7 იმ შემთხვევაში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით;

15.8 ხელშეკრულება შედგნილია ქართულ ენაზე, 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შპს „ვიონი საქართველო“

მის: საქართველო ქ. თბილისი, ზამზისი რიგი№8,

შპს „-----“

მის: ქ.თბილისი, -----

სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა GE17BG0000000118376200

საიდენტიფიკაციო კოდი 204450584

ელ ფოსტა: info@beeline.ge

ბანკის კოდი:

ა/ა

საიდენტიფიკაციო კოდი:

გენერალური დირექტორი

ლაშა ტაბიძე

ელ ფოსტა:

დირექტორი:

ხელმოწერა

ხელმოწერა